



**მშენებლობის ბიზნესის ადმინისტრატორი P**  
**Construction Business Administrator - 040651**  
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

- I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მშენებლობის ბიზნესის ადმინისტრატორი
- II. პროფესიული განათლების საფეხური: მეხუთე
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი (1 კრედიტი 25 საათი); სულ 3000 საათი.

აქედან:

65 კრედიტი სასწავლო კომპონენტისთვის-1625 საათი ( მათ შორის: საკონტაქტო 1290 საათი; სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის- 141 საათი; შეფასებისთვის- 194 საათი);

55 კრედიტი პრაქტიკისთვის 1375 საათი : სასწავლო პრაქტიკა-715 საათი; საწარმოო პრაქტიკა- 660 საათი;

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- 1. მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი;
- 2. მშენებლობის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი;

**VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

მისცეს სტუდენტებს თეორიული ცოდნა და განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები შემდეგ საკითხებში: სამშენებლო წარმოების პროცესების ორგანიზაცია და მართვა; რესურსების, საქონლისა და სამომხმარებლო ბაზრების; მომხმარებლების მომსახურების ძირითადი პრინციპები; ბიზნეს-გარემოზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის იდენტიფიცირება და შეფასება; მეწარმეობის საფუძვლები. მშენებლობის მენეჯმენტის ორგანიზების პრინციპები. ზოგადი მენეჯმენტი; სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესები; სამშენებლო მასალათა გამძლეობის საკითხები; საინჟინრო-სამშენებლო მექანიკის სპეციალური საკითხები; სამშენებლო კონსტრუქციების ტიპები და მათი წარმოების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის პროცესი; სამშენებლო წარმოების პროცესში შრომის დაცვისა და მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები; მშენებლობის ბიზნესისათვის დამახასიათებელი ძირითადი თეორიების, კონცეფციების, პრინციპების ცოდნა და მათი ძირითადი არსის გაცნობიერება დაგეგმვის პროცესში; რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები; ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აღრიცხვის ფუნქციისა და მნიშვნელობის ცოდნა და განხორციელება; აუდიტის პროცესები; ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აუდიტის როლისა და ფუნქციის ცოდნა და პროცესის განხორციელება; გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამები (Auto Cad); ელექტრონული კომერცია; ინგლისურის Preintermediate საფეხურისა და სპეციალური (English for Civil Engineering Specialty) ინგლისური. ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება; ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა საწარმოს ქონების სამართლებრივი საფეხური; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება; გამოუმუშაოს უნარი ახალი ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის. პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების, არგუმენტირებული დასაბუთების, ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საჭიროების ანალიზის, დასკვნების გაკეთებისა და ქმედითი ღონისძიებების ჩატარების; ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური დასკვნების გაკეთების; სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის; პროფესიული დასკვნების საფუძველზე მატერიალური საჭიროებებისა და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის. განუვითაროს პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე;

უზრუნველყოს სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხი, რათა მისცეს სტუდენტებს ის ცოდნა და უნარები, რომელიც უზრუნველყოფს მათ მშენებლობის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობით.

**VII. საფეხურის მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის:</p> <p>1.1 მშენებლობის პროცესის სხვადასხვა ეტაპის განხორციელებისათვის საჭირო ბიზნეს მათემატიკის საკითხების ფართე სპექტრი. მათ შორის გაანგარიშების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; სამშენებლო ხაზვა; გეოდეზია; სამშენებლო მასალების სახეობები და მათი წარმოების პროცესი; სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესები; სამშენებლო მასალათა გამძლეობის საკითხები საინჟინრო სამშენებლო მექანიკის სპეციალური საკითხები; სამშენებლო კონსტრუქციების ტიპები და მათი წარმოების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის პროცესი; სამშენებლო წარმოების პროცესში შრომის დაცვისა და მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები.</p> <p>1.2 მშენებლობის ეკონომიკა: სამშენებლო წარმოების პროცესების ორგანიზაცია და მართვა: რესურსების, საქონლისა და სამომხმარებლო ბაზრები; მომხმარებლების მომსახურების ძირითადი პრინციპები;</p> <p>ბიზნეს-გარემოზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენების იდენტიფიცირება და შეფასება; მეწარმეობის საფუძვლები. მშენებლობის მენეჯმენტის ორგანიზების პრინციპები. ზოგადი მენეჯმენტი.</p> <p>1.3 მშენებლობის პროცესის დაგეგმვა: ბიზნესის დაგეგმვა; მშენებლობის ბიზნესისათვის დამახასიათებელი ძირითადი თეორიების, კონცეფციების, პრინციპების ცოდნა და მათი ძირითადი არსის გაცნობიერება დაგეგმვის პროცესში</p> <p>1.4 მშენებლობის მენეჯმენტი: ორგანიზების პრინციპები, რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები. ადამიანური რესურსების მართვა (ადამიანური რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები.)</p> <p>1.5 ფინანსური მენეჯმენტი: რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები; საბუღალტრო აღრიცხვა (ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აღრიცხვის ფუნქციისა და მნიშვნელობის ცოდნა და განხორციელება); აუდიტის პრინციპები (ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აუდიტის როლისა და ფუნქციის ცოდნა და პროცესის განხორციელება);</p> <p>1.6 ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური პროგრამები: გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამები (AutoCad); ელექტრონული კომერცია აცნობიერებს: სამშენებლო წარმოების პროცესების მნიშვნელობასა და როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების როლს საქმიანობის წარმატებასათვის. სამშენებლო ბიზნესის მწარმოებელის ფუნქციის მნიშვნელობას საქმიანობის პროცესში; მომხმარებლების მომსახურების ძირითად პრინციპებს, მათი და მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაცვის მნიშვნელობას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>აქვს უნარი:</p> <p>2.1. სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების იდენტიფიცირების: საჭიროების კრიტიკული ანალიზი, ხასიათისა და ტიპების დადგენა, ხარისხის განსაზღვრა, მოხმარების პირობების დადგენა. ასაშენებელი ობიექტების ტექნიკური მაჩვენებლების განსაზღვრა. ინოვაციური პროცესების გათვალისწინება.</p> <p>2.2 სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესების მართვის: კონკრეტულ ოპერაციებთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვა და აღსრულება შესაბამისი პროცედურებისა და პრინციპების გამოყენების საფუძველზე; სამომხმარებლო ბაზრის განსაზღვრა;</p>

	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა	ა ნ
	<p>მომხმარებლის საჭიროებების შესწავლა;</p> <p>2.3 ფინანსური და სხვა სააღრიცხვო ოპერაციების განხორციელების; მონაცემთა ბაზის შექმნა, დამუშავება; გასავალისა და ხარჯების ანალიზი; რელევანტური ფინანსური ბაზების გამოყენება;</p> <p>ექსპლუატაციის ფინანსური და ტექნიკური საშუალებების შეფასება.</p> <p>2.4. პროფესიული ინფორმაციის იდენტიფიცირების; მოგროვება, ანალიზი და გადაწყვეტილების არგუმენტირება;</p> <p>2.5 უსაფრთხო გარემოს შექმნისა და დაცვის; საფრთხეების დადგენა, სიტუაციური ანალიზი, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის პირობების განსაზღვრა.</p>	
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>აქვს უნარი:</p> <p>3.1. მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების;</p> <p>პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური დასკვნების გაკეთების;</p> <p>სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის;</p> <p>3.2 მატერიალური საჭიროებებისა და მათი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი რესურსების განსაზღვრის.</p> <p>3.3 სამშენებლო სამეწარმეო პროექტის შემუშავების პირობების განსაზღვრის.</p>	
კომუნიკაციის უნარი	<p>აქვს უნარი:</p> <p>4.1 ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით პროფესიული კომუნიკაციის როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე;</p> <p>4.2 საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების;</p> <p>4.3 ჯგუფური მუშაობის პირობებში ეფექტური კომუნიკაციის P</p> <p>4.4 პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების.</p>	
სწავლის უნარი	<p>აქვს უნარი:</p> <p>5.1 ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის.</p> <p>5.2 პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების, ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საჭიროების ანალიზისა და მიღების.</p>	
ღირებულებები	<p>გააჩნია:</p> <p>6.1 პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი და იცავს მათ.</p> <p>სამართლიანი საქმიანი ურთიერთობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება</p> <p>6.2 საერთო საქმეზე პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი.P</p> <p>პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების პროფესიონალიზმისადმი და მათადმი ნდობა.</p> <p>გარემოს დაცვისა და სამშენებლო პროცესების უსაფრთხოების ნორმებისადმი პროფესიული დამოკიდებულება და იცავს მათ.A</p> <p>პროფესიული საქმიანობისადმი ერთგულება.</p> <p>პროფესიული ინიციატივისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.</p>	

VIII. სასწავლო გეგმა V საფეხური

	საკონტაქტო საათები	ა ლ ნ მ
--	--------------------	---------

		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
I სემესტრი								
მათემატიკა ბიზნესისათვის II	5	30/30				8	57	125
ინგლისური III	5	/60		55		8	2	125
სითხეებისა და აირების გამოყენებითი მექანიკა	5	15/30	15	55		8	2	125
სამშენებლო კონსტრუქციები I,II	5	15/45		55		8	2	125
სამშენებლო მასალები	5	30/30			55	8	2	125
ხაზვა	5	15/45		55		8	2	125
II სემესტრი								
პროექტის მენეჯმენტი	5	30/30		55		8	2	125
გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამები(AutoCad)	5	60		55		8	2	125
მათემატიკა ბიზნესისათვის III	5	30/45				8	42	125
საინჟინრო მექანიკა	5	15/45		55		8	2	125
სამშენებლო კონსტრუქციები III	5	15/45			55	8	2	125
შენობა-ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა	5	30/30			55	8	2	125
III სემესტრი								
საბუღალტრო აღრიცხვა	5	30/30		55		8	2	125
მარკეტინგის საფუძვლები	5	30/30			55	8	2	125
მშენებლობის ტექნოლოგიები	5	30/30			55	8	2	125
ბიზნესის დაგეგმვა	5	30/30		55		8	2	125
ფინანსური მენეჯმენტი	5	30/30		55		8	2	125
გეოდეზია	5	30/30			55	8	2	125
IV სემესტრი								
აუდიტის პრინციპები	5	30/30			55	8	2	125
ტექნიკური ზედამხედველობა და შრომის უსაფრთხოება მშენებლობაზე	5	30/30			55	8	2	125
მშენებლობის ეკონომიკა	5	30/30		55		8	2	125
მშენებლობის მენეჯმენტი	5	30/30		55		8	2	125
სპეციალური ინგლისური	5	/60		55		8	2	125
სადიპლომო სამუშაო	5				115	10		125
სულ:	120	1275	15	715	660	194	141	3000

IX. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო საგანი/ სწავლის შედეგები	1.1	1.2	1.3	1.4	1.5	1.6	2.1	2.2	2.3	2.4	2.5	3.1	3.2	3.3	4.1	4.2	4.3	4.4	5.1	5.2	6.1	6.2	
მათემატიკა ბიზნესისათვის II	x				x		x																
ინგლისური III										x					x					x	x		
სითხეებისა და აირების გამოყენებითი მექანიკა		x		x						x		x		x									
სამშენებლო კონსტრუქციები I,II	x						x	x															
სამშენებლო მასალები	x						x	x												x			
ხაზვა	x																						
პროექტის მენეჯმენტი		x	x	x	x							x	x	x							x		
გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამები (AutoCad)						x				x						x							
მათემატიკა ბიზნესისათვის III	x				x																		
საინჟინრო მექანიკა	x																			x			
სამშენებლო კონსტრუქციები III							x	x				x											
შენობა-ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა			x				x	x		x		x	x										
საბუღალტრო აღრიცხვა					x				x												x		
მარკეტინგის საფუძვლები		x			x				x			x					x						x
მშენებლობის ტექნოლოგიები								x			x	x											
ბიზნესის დაგეგმვა		x	x						x			x	x				x				x	x	x
ფინანსური მენეჯმენტი					x				x			x	x				x	x			x		
გეოდეზია	x																						
აუდიტის პრინციპები												x	x										x
ტექნიკური ზედამხედველობა და შრომის უსაფრთხოება მშენებლობაზე											x	x											x
მშენებლობის ეკონომიკა		x	x						x			x					x				x		
მშენებლობის მენეჯმენტი			x	x	x					x	x	x	x	x						x		x	x
სპეციალური ინგლისური																x	x	x			x		
სადიპლომო პრაქტიკა												x											

**შენიშვნა:**

**სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:**

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

**თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.**

**1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

**2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

**3. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

**4. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

გამოცდა - 2 სთ. (სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

**X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)**

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- შუასემესტრულ ტესტირებას;
- შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარება.

**XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

შუალედური შეფასება ;  
დასკვნითი შეფასება.

შეფასების მეთოდი:

ტესტი;  
ზეპირი გამოკითხვა.

**XII. სწავლების ფორმები:**

თეორიული სწავლება;  
პრაქტიკული მეცადინეობა;  
სასწავლო პრაქტიკა;  
საწარმოო პრაქტიკა;  
ლაბორატორიული სამუშაოები.

**სწავლის მეთოდები:**

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერიითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

**XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:**

კურსი/მოდული/საგანი	კრ.	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მათემატიკა ბიზნესისათვის II	5	ხოჭოლავა ვლადიმერი	აკადემიური დოქტორი
ინგლისური III	5	ქარდავა ნელი	უფროსი მასწავლებელი
სითხეებისა და აირების გამოყენებითი მექანიკა	5	ქადარია იური	აკადემიური დოქტორი
სამშენებლო კონსტრუქციები I,II	5	ამირან საყვარელიძე	აკადემიური დოქტორი
სამშენებლო მასალები	5	ამირან საყვარელიძე	აკადემიური დოქტორი
ხაზვა	5	ნოზაძე მანანა	აკადემიური დოქტორი
პროექტის მენეჯმენტი	5	მოწინძე მედეა	აკადემიური დოქტორი
გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამები ( AutoCad)	5	ჭანკოტაძე ვახტანგი	აკადემიური დოქტორი
მათემატიკა ბიზნესისათვის III	5	ხოჭოლავა ვლადიმერი	აკადემიური დოქტორი
საინჟინრო მექანიკა	5	ნიჟარაძე ჯუმბერ	აკადემიური დოქტორი
სამშენებლო კონსტრუქციები III	5	ამირან საყვარელიძე	აკადემიური დოქტორი
შენობების საინჟინრო აღჭურვა	5	ქადარია იური	აკადემიური დოქტორი
შენობების საინჟინრო აღჭურვა		ხატიური ხათუნა	აკადემიური დოქტორი
საბუღალტრო აღრიცხვა	5	მოწინძე მედეა	აკადემიური დოქტორი
მარკეტინგის საფუძვლები	5	ბარბაქაძე მურმანი	აკადემიური დოქტორი

მშენებლობის ტექნოლოგიები	5	ეზუგბაია ზურაბი	აკადემიური დოქტორი
ბიზნესის დაგეგმვა	5	ნინო	აკადემიური დოქტორი
ფინანსური მენეჯმენტი	5	ბაქრაძე მურმანი	აკადემიური დოქტორი
გეოდეზია	5		
აუდიტის პრინციპები	5	მახვილამე რეზო	აკადემიური დოქტორი
ტექნიკური ზედამხედველობა და შრომის დაცვა მშენებლობაზე	5	ბაქანიძე შახი	აკადემიური დოქტორი
მშენებლობის ეკონომიკა	5	ჩოგოვამე ჯემალი	აკადემიური დოქტორი
მშენებლობის მენეჯმენტი	5	ჯინჭარაძე კობა	აკადემიური დოქტორი
სპეციალური ინგლისური	5	ქარდავა ნელი	უფროსი მასწავლებელი
საწარმოო სადიპლომო პრაქტიკა	5	გიორგი მაისურაძე	აკადემიური დოქტორი

**XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:**

ბიბლიოთეკა აღჭურვილი პროგრამაში შემავალი საგნების როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული სახელმძღვანელოებით; ლაბორატორიული სამუშაოების ვიდეო ფილმებით; კომპიუტერული ცენტრები - ინტერნეტით, საპროექციო აპარატურით, ვიდეოსტუდიით.

**XV. სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა:**

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება შემდეგ ორგანიზაციებში:

შპს. "ენგურჰესი" 16. 07.2012წ.

იხილეთ დანართი 1.

**XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:**

კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატის რელევანტურ სპეციალობებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ლალი ლოღელიანი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ზურაბ გედენიძე

**მიღებულია**

სამშენებლო

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

24 აპრილი 2012 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ გედენიძე



**შეთანხმებულია**  
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურთან